საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ოთხშაბათი ივლისის 6

1921

№ 103

ფასი 500 მანეთი

რედაქციის მისამართი: დამფუძნებელი კრების ქ. № 6 ტელ ფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ნიკოლოზის ძე, ელენე და ივანე ივანეს ძენი ნიკოლაშვილნი უდიდესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას დაუვიწყარ მეუღლის და საყვარელ დედის

**ნინო დავითის ასულის ნიკოლაშვილისას**

დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე დღეს, ივლისის გამოსვენება ბინიდან (აკიმოვის ქ. № 36, იქსარხოსის მოედანი) დილის 9 საათზე. 1099

მარიამ ანდრიას ასული, კონსტანტინე დავითის ძე და ევგენია ივანეს ასული კვირიკაძენი შვილიშვილითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას შვილის, დედის და მეუღლის

**ნინო დავითის ასულის ნიკოლაშვილისას**

დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე დღეს, ივლისის 5-ს. გამოსვენება ბინიდან (აკიმოვის ქ. № 36) დილის 9 საათზე. 1099

ოლღა ნიკოლოზის ასული და ილია სვიმონის ძე ალადაშვილნი შვილებითურთ და დარია ნიკოლოზის ასული ხარებაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

**ნინო დავითის ასულის ნიკოლაშვილისას**

დაკრძალვა დღეს ივლისის 5 ს წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება, ბინიდან (აკიმოვის ქ. № 36) დილის 9 საათზე. 1099

ღრმად დამწუხრებული ძმა კირილე, და მარუსი, ბიცოლა თამუ და ბიძაშვილები: კლემენტი, ტარიელი, ქსენია ჩაჩავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი სტუდენტი

**გრიშა ჩაჩავას**

ტრაგიკულად გარდაცვალებას ქ. ბათომში ივლისის 25. 45

**ივანე პავლეს ძე ზოცაძე**

**მსახურობდა ქ. სოხუმში,** მე-2 ათასეულის ექიმ ვეტერინარის თანაშემწედ. ამ უკანასკნელ ომის შემდეგ მისი ამბავი არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის ხსენებული პირის შესახებ, უმორჩილესად ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით:

ქ. ტფილისი. ტფილისის სამხედრო საინჟინერო დისტანცია. შალვა გოცაძეს. 1098

## რესპუბლიკათა თანამშრომლობისათვის

ამ სამი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მთავარი და მოედანი დარჩა სამ ბურჟუაზიულ პარტიას. ესენი იყვნენ მუსავატელები აზერბაიჯანში, დაშნაკელები ერევანში და მენშევიკები საქართველოში. ამ სამ პარტიაში ორი—სახელდობრ: დაშნაკელები და მენშევიკები სოციალისტობდნენ, ხოლო რაც შეეხება მესამეს, ის, მართალია, არ სოციალისტობდა, მაგრამ სიტყვა სიტყვით იმეორებდა იმას, რასაც ორი დანარჩენი ამბობდა და ამით ის, რა თქმა უნდა, ცოტა არ იყოს „უხერხულ მდგომარეობაში" აყენებდა თავის სოციალისტ კოლეგებს.

სამი წლის განმავლობაში ეს პარტიები განაგრძობდენ რევოლუციის ლიკვიდაციას, მის გაყალბებას. მათ არამც თუ არ განახორციელეს დიდი რევოლუციის უდიდესი ლოზუნგები, მათ ისიც ვერ შესძლეს, რომ ამ მეზობელ სუსტ რესპუბლიკებს შორის დამყარებულიყო ნორმალური, კეთილმეზობლური ურთი-ერთობა, სწორედ ამით აიხსნება ის უცნაური მოვლენა, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს წელიწადში ცამეტი ომი ჰქონდათ!

შეისვენებდენ მენშევიკები, ომობდენ დაშნაკ მუსავატელები, შეისვენებდენ მუსავატელები ომობდენ მენშევიკ დაშნაკელები.

რევოლუციის განვითარების პროცესში დაეცნენ მუსავატელები, ეცინოდენ დაშნაკელები, დაეცნენ დაშნაკელები—ეცინოდენ მენშევიკები. ბოლოს დაეცნენ მენშევიკებიც—„ერთად ერთი სწორი ხაზის" და „ბრძნული პოლიტიკის" მქონე ხალხი. ალბათ ამ უკანასკნელთ დღეს დასცინიან როგორც მუსავატელები, ისე დაშნაკელები, რომ მენშევიკებმა მათი გამოცდილება ვერ გამოიყენეს!..

საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცებამ ამიერ კავკასიაში შექმნა ახალი პირობები. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის დასამყარებლად.

**საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამ ამიერ კავკასიაში მოსპო ომის შესაძლებლობა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შორის.**

უკვე გადალახულია „დაბრკოლებანი—პოლიტიკური, სოციალური და თითქმის ეროვნულიც ამ სამი რესპუბლიკის დასაახლოვებლად, მათი მჭიდროთ შესაკავშირებლად.

ამ ნიადაგზე უნდა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს ის არაჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ცოცხალ სტური რესპუბლიკებისათვის ნორმალური და აუცილებელი ურთი-ერთობა, რომელიც უნდა იქნეს **უძლეველი დაახლოვების და ნამდვილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განხორციელება.**

ამისთვის საჭიროა შემდეგი. პირველი: ნაციონალისტურ ელემენტებს ამიერ-კავკასიაში არ უნდა მიეცეთ საშვალება, რომ **კომუნიზმის დროშის ქვეშ აკეთონ თავიანთი შოვინისტური საქმე.**

რომ ზემოხსენებულ ელემენტებს აქვთ ასეთი განზრახვა, სჩანს თუნდაც იქიდან, რომ **სომხის ბურჟუაზია, რომელიც ერევანში იარაღით ებრძოდა კომუნისტებს, ახლა წითელი დროშით დახვდა მათ!**

ამიერ-კავკასიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად აუცილებელი პირობა არის, რომ სხვა და სხვა ძალებმა—**პარტიებმა და ჯგუფებმა ხელი აიღონ ავანტიურაზე.**

რომ წინედ გაბატონებული ძალები არ ისვენებენ, მოწმობს ზანგეზურის ამბები.

გაზეთების ცნობით ამ ამბებს დაშნაკელები მეთაურობენ. თუ ეს ასეა, უნდა გულახდილად ითქვას, რომ **დაშნაკელებმა წინააღმდეგობის გაცილებით მეტი უნარი გამოიჩინეს,** ვიდრე ჩვენმა ტრაბახა მენშევიკებმა, რომლებმაც ომის დაწყების პირველ დღიდანვე პანიკური გაქცევის გზა აირჩიეს!.. ეს სხვათა შორის. არსებითად კი ზანგეზურის ამბები მეტად სიმპტომატიურია.

როგორც ყველამ იცის, დაშნაკელები და საერთოდ სომხები ყოველთვის **რუსეთის ორიენტაციის იყვნენ.**

ისინი უახლოვდებოდენ და უკავშირდებოდენ ყოველ ძალას, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ნიკოლოზის დროს დაშნაკელები ვორონცოვ დაშკოვის „ბრწყინვალე სვიტას" შეადგენდენ, კერენსკის დროს დაშნაკელები ერთიანად გაესერდენ და სხვ.

ერევნის აჯანყებისა და მის გაგრძელების—ზანგეზურის ამბების—შემდეგ ირკვევა, რომ დაშნაკელები და მათი მიმდევრები **ეტრფიან ყოველ რუსეთს გარდა კომუნისტურისა!..**

ბოლოს ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ძმური თანამშრომლობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ყოველი მათგანი ურთი-ერთ დამოკიდებულებაში ყოველთვის გამოდიოდეს იმ დებულებიდან, რომ ის და მისი მეზობელი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ **დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგომარეობა და ხახიცოცხლო ინტერესები იგივე არ არის, რაც უბრალო პროვინციის მდგომარეობა და ინტერესები.**

**არც ერთმა მეზობელმა არ უნდა მოითხოვოს მეორისაგან ის, რაც შეასუსტებს მეორეს, რაც დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობას ფიქციად გადააქცევს,**

მხოლოდ ამით გავიმარჯვებთ.

შ. —ელი.

## ფელეტონი

50

**ხოლერა**

დღეს ჩვენ ყურადღებას ხოლერა იპყრობს. გაჭირვებული ხალხი მრავალ სენის წინაშე სდგას, დიდი ენერგიაა საჭირო თავდაცვისათვის.

პირველი სიტყვა, რომელიც ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა ითქვას, ეკუთვნის თვითონ მთავრობას. ხოლერას სახელმწიფოს მოუწყობლობა და უორგანიზაციობა იწვევს. სასტიკი დისციპლინით, მთავრობის სიმტკიცით და მხნე მუშაობით დავსძლევთ ჩვენ ხოლერასაც.

ხოლერის ბუდე—ქალაქებია, სადგურებია. სისუფთავე, სიწმინდე, ამასთან დაკავშირებული საჭირო ზომები—აი საით უნდა მივმართოთ ჩვენ ქვეყნის მართველთა ყურადღება. ევროპამ იმიტომ არ იცის ხოლერა, რომ იქ სანიტარული კულტურა უმაღლესად განვითარებულია. საჭირო არ არის იმის დამალვა, რომ ამ მხრივ ჩვენი ქალაქები მეტად უმწეო პირობებშია. სიბინძურეში ჩაფლებულია მთელი ქალაქი, სიბინძურეა რკინის გზის ლიანდაგზე, სადგურებზე, სასადილოებში და საზოგადო სახლებში.

მთელი ხალხის ძალა უნდა ავამოძრაოთ, რომ ეს სიბინძურე მოისპოს.

საჭიროა მრავალ ადგილას დაიდგას ადუღებული წყლით კასრები, რომ ხალხმა უმი წყალი არ დალიოს, საჭიროა დაწესებულებებში უფასო ჩაის მიცემა დროებით მაინც, საჭიროა სასადილოების გაუმჯობესობა და სისუფთავის დაცვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აფთიაქების მოწყობის საქმეს. წამლების უმაგალითო სპეკულიაცია სწარმოებს ამ ჟამად. სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლა გვმართებს ადამიანის სიცოცხლით სპეკულიაციის წინააღმდეგ. უნდა გაადვილდეს წამლების მიღება, სამუდამოდ უნდა მოისპოს დღეს ხვალის ძახილი ყველგან და ყველაფერი გაკეთდეს სწრაფად და ულაპარაკოდ.

უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ბაზრებს. სანიტარული „ორდონანს" ადგენა ერთი უსაჭიროესი საქმეა სანიტარულ ღონისძიებისათვის. ჩვენი საქმე სნეულებიანთა იზოლიაციაა ჯანსაღი საზოგადოებიდან. არავითარი ლტოლვილი, არავითარი მოგზაურება, არავითარი ხეტიალი არ შეიძლება მოარულ სენის ხანაში.

პარალელურად უნდა ამოძრავდეს მომარაგების კომისარიატი. სოფლის რაიონებში, სადაც მეტი პურია უნდა გამოვიყენოთ კოოპერატივების აპარატი და საქონლის მოცემით გამოვიტანოთ პური, რათა დღეს მაინც გავადიდოთ პურის რაციონი. ერთი სიტყვით ბრძოლა სანიტარიისათვის, შიმშილის დასაცემად, მუშათა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის—აი ხაზი სოციალური პოლიტიკისა, რომელიც სპობს ხოლერასაც.

თედო ლლონტი.

## „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო"

ამ წერილის სათაური ისტორიული ფრაზაა, რომლითაც გრ. ორბელიანი გაუმასპინძლდა თავის დროს კრილოვის არაკებზე და პისარევის ბარბაროსულ კულტურთეორიებზე აღზრდილ ახალთაობას, რომელთაც რუსულმა აღზრდამ ორგანიული კავშირი გააწყვეტია ქართულ კულტურასა და სულთან.

ჩვენი დავა რობაქიძის ჯგუფთან არ ახალია.

ტყუილა ფიქრობენ, რომ ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურ ნიადაგზე ვედავებით მათ. თეორია ხელოვნება ხელოვნებისათვის არც ისე ახალია, ევროპაში მან მოსჭამა თავისი დრო. საქართველოში ამ თეორიას მათზე ადრე ჰყავდათ დამცველები. ხელოვნება ცხადია კანტისებური „საგანია თავისთავად", მაგრამ როცა თქვენ ამ საგანს ერის არსებობის საკითხს დაუპირდაპირებთ, იგი მაშინ მეორე ხარისხოვან ფენომენად იქცევა.

ჩვენი ლოზუნგია: ყველაფერი საქართველოსთვის, რადგან თუ საქართველო არ იქნება ქვეყანაზე ქვაქვაზე ნუღარ დარჩენილა.

განა თქვენ თქვენი აპოლიტიკოსობით ძუდამ საქართველოსთვის მავნე პოლიტიკას არ აწარმოებდით?

წარსულში, საქართველოში თვით ბერებს არ შეეძლოთ აპოლიტიკოსობა. არც თქვენ შეგძლებიათ იგი არასოდეს. თქვენი აპოლიტიკოსობა აპოლიტიკოსობა იყო იმ გზა დაბნეულ ქართველების, რომელთაც ქართველობის სამსახურად მიაჩნდათ ნიკოლოზ მეორის სადღეგრძელოების თქმა. პოეზია თქვენთვის ჩემი ღმერთმსახურება კი არ არის, არამედ კაფე შანტანის შანტრაპა პოეტების უსაქმო სპორტი. ასეთივე უსაქმო სპორტი იყო ნადირობაც იმ უტვინო კახეთის მეფისათვის, რომელიც იძახოდა „ღმერთო გააუკაცრიელე კახეთი, რომ სანადირო ადგილი მეტი მქონდესო".

ქართულ ახალთაობის ზნეობრივი აღზრდის სახელით, საქართველოს და რუსთაველის სახელით უნდა გებრძოლოთ თქვენ კაცი, თორემ მერწმუნეთ წერის თემად უფრო მაღალი რანგის იდეების ამორჩევა შეიძლება.

სრულიად საქართველოს პირველ მწერალთა კონფერენციაზე თქვენ რუსის მწერლის ბალმონტის საპატიო თავმჯდომარედ არჩევა გინდოდათ. მე შეგაჩერეთ და გითხარით: ახლა იწყება საქართველოს სულიერი, და პოლიტიკური სეპარაცია და ასეთ დროს, უხერხულია რუსის მწერლისათვის ოვაციების გამართვა, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ საომარ განწყობილებაში ვიმყოფებით რუსეთთან მეთქი.

მეორე მხრით მე შეუფერებლად მიმაჩნდა მწერლისა და მწერლობისათვის ერთგვარი სულიერი ლაქიობა...

გრ. რ—ძემ მე ამის ივის „კულტურული ბარბაროსი მიწოდა".

ჩემი პასუხი იყო: თქვენ სულიერად პროვინციელი რუსები ხართ, დღეს აქ რუსები ადარ არიან, ისინი რომ მოვიდნენ, თქვენ მათ ოვაციებით შეეგებებით მეთქი.

ეს იყო 1918 წ. არ გასულა არც 3 წელი და ეს გამართლდა. დღეს ეს „აპოლიტიკოსი პოეტები" „წითელ რუსეთთან დაძმობილებაზე მღერიან".*) ზოგ მათგანს ტფილისი უნდა „ქალდეად" და რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკის შტაბად გადაიქციოს*) და ერთი მათგანი, ჩვეული ყალბი პათეოსით ლაპარაკობს „თეთრ ვლის რევოლუციაზე", კოსმიური გადატრიალებაზე. ამას უკარნახებს მას არა მწერლის სინიდისი, არამედ კარიერიზმი.

გრ. რობაქიძე სოლოლაკის ბურჟუაზიის ბანკეტებზე იმაზე ჰქადაგებს, რომ აღმოსავლეთი საქართველო და ტფილისი „ეთნიური სუმბურია" და არა საქართველო, ამით იმათ გულის მოგებას ლამობს, რომელთა პრესა უტიფრად დაძღერებდა ამ ორი წლის წინად ტფილისში: „სცდებიან ქართველები, რომ ისინი რუსთაველის ძეგლის დადგმას ტფილისში აპირობენ და არა შუაგულ საქართველოს სატახტო ქალაქში—ქუთაისშიო".

დღეს ეს ვაჟბატონი დადის და ქვეყანას არწმუნებს, რომ საქართველოში კაცი არ აღმოჩნდა, რომ მას „ხმალში გაჰყვეს", ან მისგან და მის ჯგუფისაგან გადასროლილი ხელთათმანი აიღოს, ან ვინ გაჰყვება ასეთ „ქართველს" ხმალში, ან ვინ აიღებს იმ ხელთათმანს, რომელსაც ასეთი სულით ლაქიები ატარებენ.

ან რათ უნდა ასეთ კაცს „დამარცხება" იგი დამარცხებულია თავისთავად. თუ მაინც და მაინც აინტერესებს გ. რ.—ძეს, რომ ხმალში გაჰყვეს მას ვინმე, რატომ ქართულ საზოგადოებაში არ გამოვა და არ იტყვის, რომ „მან და მისმა ჯგუფმა რუსთაველი დაამარცხეს", რატომ არ იტყვის რომ ტფილისი ეთნიური სუმბურია".

*) იხ. პ. იაშვილის ლექსი რუსულ გაზეთ „წითელ კავკაზში".

მაგრამ რობაქიძეს სამი წლის წინად უწინასწარმეტყველეთ ჩვენ, რომ საქართველო არ გაჰყვება მისებრ ფილისტერს, ესეც ახდა. რობაქიძე და მისი ჯგუფი უფრო მეტის პათოსით ჰქადაგებს იმ უცხო კულტურათა აგენტების კრებებზე, რომელთაც სწორედ ტფილისის „ეთნიური სუმბურად" გადაქცევა სწადიათ, იგი და მისი ჯგუფი უფრო მეტის პათოსით რუსულად სწერენ იმ ორგანოებში, რომელთაც სოლოლაკის ბურჟუაზიის სუბსიდიებით უდგიათ სული. ნუ თუ ერთის წამით არ იკითხავენ ეს „აპოლიტიკოსი" მწერლები, რომ ისინი იმათ საქმეს აკეთებენ, რომელთაც ტფილისის კავკასიის ინტერნაციონალურ რეზიდენციად გადაქცევა უნდათ.

ნუ არცხვენთ ქართველ მწერლის სახელს, „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო".

დღეს ქართველობაზე ყოველი მხრიდან მოაქვთ იერიშები სომხის დაშნაკებს და რუსის თეთრგვარდიელის კონტრრევოლიუციონერებს. დღეს ჩვენ ყოველი მხრით გვებრძვიან ტფილისში ტფილისის სახელით და ამ დროს ქართველი „აპოლიტიკოსი" მწერლები სხვას პოლიტიკის ბრმა იარაღი ხდებიან.

გუშინდელი წერილის ავტორი ორითვის შემდეგ მისაყვედურებს: „შენ კომუნისტებთან ბრძოლაში ბარიკადად გინდა გამოგვიყენოო".

უნდა მოვახსენო ამ ბრძენს, რომ მე ბარიკადები არა მჭირია, რადგანაც სიტყვა მართალის პირდაპირ თქმა მიყვარს, და თუ დამჭირდა ასეთი, მათსავით დანგრეულ ბარიკადებს არასოდეს არ ამოვეფარები. (მით უმეტეს ეს ეგრედწოდებული „ბარიკადები" საკმაოდ მიანგრ-მოანგრიეს მ. შუამდინარელმა და ს. ფაშალიშვილმა.)

ზემო ოყვანილი წერილის ავტორი მიჩივის; თითქოს მე „ვასმენდე" მას, როგორც კომუნისტურ, ისე ანტიკომუნისტურ საქართველოს წინაშე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ კომუნისტებში არა ერთი და ორი მოიძებნება, რომელიც მხოლოდ ინტელექტუალურ ვაჟკაცობას დააფასებს და არა ისეთ ინტელექტუალურ ძლიქვნელობას, რომელსაც თქვენ ეწევით.

დასმენა ჩემი საქმე არ არის, თუ თქვენ გულ-ცივად ძოგვექცევით კომუნისტური საქართველო, ესეც თქვენი „აპოლიტიკოსური ლაქიობის" ბრალია. განა ქართველ კომუნისტებს არ ესმოდათ თქვენი ექსპრომტები ხოშტარიას ბანკეტებზე და თქვენი მდაბალი რევერანსები დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მინისტრების და მოურავების წინაშე?

არა, ბატონებო, სულით ლაქია იმათაც არ უყვარს, ვინც მის სამსახურს მიიღებს. ასეთია ხოგად ადამიანური პსიხოლოგია და ეთიკა, რომელზედაც თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ.

არც ანტი კომუნისტურ საქართველოსთან დამჭირდება მე თქვენი „დასმენა". ეს საქართველოც გიცნობთ თქვენ ჩემზე უკეთ.

რაც შეეხება იმას, თითქოს მე ახლა „ჩავწერილიყავი პატრიოტების არმიაში". თუ ეს მე მეხება, თუმცა მე თქვენსავით არ მემარჯვება ჩემ ღვაწლზე ლაპარაკი, (რადგანაც ვიცი, რომ მე გასაკეთებელი მომავალში მეგულება და არა თქვენსავით წარსულში) უნდა გაგახსენოთ, რომ მე ქართველი პატრიოტების ლაშქარში ვიყავი მაშინაც, როცა ამისთვის რუსის ჟანდარმერია სდევნიდა ნამდვილ პატრიოტებს, ახლაც, იდეურ პატრიოტთა ლიგაში ჩაწერა არც ისე სახარბიელოა, ამისთვის არც სუბსიდიებს და არც ავანსებს არ მიიღებთ, ასე რომ არ გირჩევთ ჩაწერას.

არც ჩემ მონოპოლიად გამიხდია პატრიოტიზმი, მე მოხარული ვიქნები, თუ თქვენ შეიგნებთ, რომ საქართველოს პატრიოტული ლიგის პასიური წევრი მაინც უნდა იყოს ის კაცი, რომელსაც საქართველოში ხელოვნება ხელოვნებისთვის უადა ვითომდაც. სავალალო ის არის, რომ რობაქიძეები ხელოვნებისთვის კი არ ცხოვრობენ, არამედ ხელოვნებით...

რაც შეეხება „იდეურ შინაარს" თქვენი ლექსებისას, მე დრო არა მაქვს თქვენი პოეზია გავარჩიო, ხოლო თქვენი ორიგი მიმდევრობის დასახასიათებლად მასალები ბლომად მოგვეპოვება. ეს იდეები, რომელნიც თქვენ ახალ გამოცხადებად მიგაჩნიათ, ის იდეები, რომელიც თქვენ ლექსებში გადმონერგეთ რუსული ნათარგმნებიდან, დღეს იქ უკვე მოძველებულია, სადაც თქვენი ვერლენი, ლაფორგი და ბოდლერი ჰქადაგებდნენ და ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, (თქვენ ეს არ გაგიგიათ) საფრანგეთში და საერთოდ ევროპაში სულ სხვა სული და იდეური სამყარო დამკვიდრდა.

ან რა არის ახალი საფრანგეთის ჰლეჭიანი ბოჰემის პოეზია? ახალი და გაუგონარი, ან მომხიბლველი.

სიფილისი, დეგენერაცია, ჰიპოხონდრია და დიდი ქალაქის ბოჰემის, ამ მსოფლიო კაპიტალიზმის წიაღში შექმნილ იდეურ სიდუხჭირის ატმოსფერის მეტი. ყველაფერ ამის გადმონერგვა ჩვენში არც ისე სახარბიელო ამოცანაა, როგორც თქვენ ეს გგონიათ. მაგრამ თქვენ ეს იდეები მიიღეთ რუსული ენის ფილტრიდან, რუსული სოუსით, რუსული სულით.

რაც შეეხება გრ. რობაქიძე—რუსთაველის „დუელს" ეს ქონდრის კაცის ბუნებრივი ლტოლვაა გენიოსთან ბრძოლისა, რადგანაც ფატალური დამოკიდებულება და შული არსებობს „პატარა კაცსა" და გენიოსს შორის. ეს ჩვენი ზღაპრების ნაცარქექიას რაინდობაა, რომელიც მდევებს შეებმოდა ხოლმე. რობაქიძე ამ შემთხვევაში იმ კუნთფიერისებურ ცარიელ კარტონს მომაგონებს, რომელიც წაჩერჩეტდება ქვლის ნელ ლივლივს აყოლილი და უსათუოდ დიდ გემს დაეტაკება და დაიმსხვრევა.

ერთხელ და სამუდამოდ გახსოვდეთ: თუნდაც ცამდის ხელი აჰყოთ, თქვენ რუსთველს მაინც ვერ შესწვდებით და არამც თუ ვერ დაამარცხებთ, ვერც კი გაიგებთ, რადგანაც მაღალი და გენიალური ქმნილების გასაგებად კონგენიალური შეგრძნობისა და შეცნობის ნიჭი და უნარია საჭირო, რომელიც თქვენ არ გაბადიათ.

თქვენი გზაა, გზა მონური მიბაძვისა და უნაყოფო ეპიგონობის. სულით მონებს არასოდეს არ შეუქმნიათ მაღალი რამე და ვერც შექმნიან რაიმეს, რაც „საქართველოს მარადიული სულის" საკადრისი იქნება.

„თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო"!

ტფილისი. 1921. ივლისის 4-ს.

კონსტანტინე გამსახურდია.

# მსოფლიო იმპერიალიზმის იდეა.

2.

მეშვიდე საუკუნიდან, ორი რელიგიური იმპერიალიზმი შეხვდნენ ერთმანეთს პირის-პირ მაგრამ პაპის პრეტენზიებს მალე შეეკრა ფრთები, რადგან საშუალო საუკუნეებში, დაიწყო იდეური ბრძოლა პაპობის უნივერსალ მეუფების წინაამდეგ. მალე ეს იდეური ბრძოლა გადიქცა გველფების და გიბელინგებიან სისხლიან ბრძოლად. აქ არ იყო დანტემ რომ მეჩვენება დაიმსახურა „შავი პარტიის" მხრივ, თავის Tractatus be Monarchia—თი. მაგრამ რა, ბრძოლა ხომ იმპერიალიზმის წინაადმდეგ არ ყოფილა. იყო ბრძოლა პაპების მსოფლიო მეუფების წინაამდეგ, მეფეთა სასარგებლოდ. თუმც ზოგიერთები ოცნებობდნენ ამ გზით მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარებაზე, როგორც მაგ. ლეიბნიცი, მაგრამ ეს ოცნება ძველი იყო, რომის ისტორიიდან გამოყოლილი, pax romani-ს შორეული გამოძახილი. ამას არ ფიქრობდნენ მეფეები, მთელი ქვეყნის ბატონობის გვირგვინი და კვერთხი რომ ელანდებოდათ.

მე-15 და მე-16 საუკ. გეოგრაფიულ აღმოჩენებმა ხომ ახალი ენერგია მიუმატეს მსოფლიო იმპერიალიზმის იდეის პირველ მეომრებს. რა იცოდა ფლავიო ჯიოიამ, კომპასის მომგონმა, რომ ამით ხელს უწყობდა ახალ კეიქრებს, მხოლოდ უფრო საშინელებს და უფრო განზე გაჭწევებს.

თამამმა პორტუგალიელებმა პირველად გადასერეს ოკეანე ამ კომპასით და ინდოეთის გზას დაუწყეს ძებნა. თანაც ფიქრობდნენ ახალ ქვეყნების პოვნას, სადაც თავის მეუფებას დაამკვიდრებდნენ. მათი გამბედაობა მოგებით დამთავრდა. კანარის, აზორის, მადეირის, მწვანე კონცხის კუნძულები მათ იპოვეს, ეკვატორს მიაღწიეს და კეთილ რწმენის კონცხამდეც კი მიიყვანეს აფრიკა თამამი ხომალდი. იმავე ხანებში ვასკო-დე-გამამ აფრიკას შემოუარა და ოკეანედან ინდოეთს უყელა. მასთან ერთად სხვა გზით ინდოეთისაკენ წავიდა კოლუმბი, და გზის მაგიერ ამერიკა აღმოაჩინა. შემდეგ სხვები პოულობენ ბრაზილიას, ლაბრადორს, მიდიან მადაგასკარზე, ესპანელი მეზღვაური ბალბოა გადასცურავს [illegible] მეფეს ძღვნად სთავაზობს დიდ ოკეანეს, [illegible] იყო. მეჩვიდმეტე საუკ. ავსტრალიას პოულობენ. ეს ახლად აღმოჩენილი ქვეყნები მპოვნელებმა გაინაწილეს: ესპანეთმა და პორტუგალიამ. კონკისტადორები და მისიონერები კალიასავით მოედვნენ ამ ქვეყნებს, რომ პირველთ გამოეზიდათ სიმდიდრე, და მეორეებს კი ქრისტიანობის გავრცელებით დაემორჩილებინათ იქ მყოფი ველური ხალხი. პლანტაციებზე და მადნეებში სამუშაოდაც გამოიყენეს ეს ფერადკანიანი ხალხი, და უდაბურ ქვეყნებში მონადირე ძაღლებითაც კი ეძებდნენ ნეგრებს სამუშაოდ გამოსაყენებლად. კიდევ ბევრი ფაქტების მოყვანა შეიძლება, მაგრამ საჭირო აღარ არის. ამითაც ნათელი ჰხდება ის ახალი პირობები, რომლებიც ქვეყნის ბედს უკვე ახალი მიმართულებით მიატრიალებენ. ცეზარიზმს ეძლევა ახალი საშუალებანი ამაყ სურვილების განსახორციელებლად. ვენეციელი და გენუელი ბატონები, დიდი განზა, აქამდე რომ შუამავლობდნენ ევროპასა და მდმოსავლეთ შორის, გზას უთმობენ ახალ კონკურენტებს, და ესპანელ პორტუგალიელები ნადირის ნდომით ეწაფებიან ქვეყნიურ ბატონობის უკვდავების წყაროს. მაგრამ სხვის ხარჯზე ცხოვრებამ მალე გამოულია ნიჭი ამ ზღვის სიბარიტებს, და ინგლისი და ჰოლანდია გადაელობნენ გზაზე უფრო ენერგიულად.

მთელ ევროპაში ეძლიძებათ ბატონობის წყურვილი გაცილებით მეტად, ვიდრე ოდესმე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან არა დროს არ ყოფილა გამდიდრების ისეთი ადვილი შესაძლოება, როგორც ამ ხანებში. ყველა ეძებს ზღვებში დაფანტულ კოლონიებს, ყველა ემზადება საზღვაო რევანშისათვის, რომ საკოლონიო და სავაჭრო პირველობა სხვამ არ დაისაკუთროს. თეთრი რასის ენერგიული ელემენტები ემიგრაციასაც არ ერიდებიან, და იქ სადაც აქამდე ველურ მოდგმათა ბინძური კარავები იდგა, ევროპის ცივილიზაციის შიკრიკებმა იქ ქალაქები გადაასენეს.

# 2½ ინტერნაციონალის დაარსება

ბ. პროლეტარიატის დიქტატურის კითხვა, მისი ფორმები და ორ-ნახევარი ინტერნაციონალი.

(გაგრძელება)

ერთი თვის განმავლობაში ორ-ნახევრის ინტერნაციონალის ბრძენ მა აზრი შეიცვალეს და თავს თვითვე ეწინააღმდეგებიან. სხვა და სხვა ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის სხვა და სხვა ფორმაა შესაძლებელიო—გვეუბნებოდენ დიდის რიხით აღნიშნულნი სწავლულნი მათ დაავიწყდათ მანიფესტში ნათქვამი მოსაზრებანი და მიუკიბ-მოუკიბავად სახელმძღვანელო თეზისებში ბრძოლის მეთოდებსა და ორგანიზაციაზე აცხადებენ: პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებელი იქნება პროლეტარიატის ძალაუფლების შენარჩუნებისათვისო. მეტსაც ვიტყვით; ვენის მანიფესტში გვიცხადებენ: „თვითეული ქვეყნის პირობების მიხედვით დიქტატურის ორგანოები შეიძლება იყოს: მუშათა, გლეხთა და ჯარის—კაცთა საბჭოები, თვითმმართველობის ორგანოები (კომუნები) ან სხვა კლასიური ორგანიზაციები". ახლა კი სწერენ: პროლეტარიატის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების, პროფესიონალური კავშირების და სხვა პროლეტარიატის კლასიური ორგანიზაციების საშუალებით. როგორც ხედავთ, სულ რაღაც მცირე დროში 7 დეკემბრიდან 10 იანვრამდის რაღაც „თვითმმართველობის დემოკრატიული ორგანოები" სადღაც გაუქრათ. რადგან „პროლეტარიატის სხვა კლასიური ბრძოლის ორგანიზაციებზე" ლაპარაკის ჩამოგდება გარდა მუშათა საბჭოებისა და პროფესიონალურ კავშირებისა არაფრის თქმას უდრის, ამიტომ ორ ნახევ. ინტერნაციონალის სწავლულთ უნდა ეთქვათ ის, რასაც ჩვენ არა ერთხელ ვამტკიცებდით: ძალაუფლების ჩაგდება და განმტკიცება პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ საბჭოებისა და პროფესიონალური კავშირების საშუალებით ამ ნაბიჯის გადადგმას მათგან მივესალმებით. თუ პროფესიონალური კავშირები იქმნებიან პროფესიის მიხედვით, მათ შეუძლიათ შეკავშირდნენ წარმოების მიხედვითაც, რასაც მოითხოვს დროც, მოითხოვს გარდა კომუნისტებისა ყველა მოწინავე პროფესიონალისტებიც. აქედან ცხადია განსხვავება მუშათა საბჭოებსა და საქარხნო კომიტეტებს შორის თითქმის სრულიად გაქრება. რევოლიუციას სხვა მხრითაც ეტყობა წინ წაწევა. ის ამბობს: გადამწყვეტ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის დაპყრობისა და შენარჩუნებისათვის „ამიერიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა ბიულეტენებს, არამედ მებრძოლი კლასის ეკონომიურსა და სამხედრო ძალას. მუშათა კლასი დაიპყრობს ძალაუფლებას მხოლოდ მასიური მოქმედებით მხოლოდ მასიური გაფიცვებით და შეიარაღებული აჯანყებით". დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატია აჯანყებისთვის ემზადება! რუდოლფ ჰილფერდინგი და არტურ კრისპინი ტყვიისფრქვევებისაკენ გაეშურენ! როგორი პროგრესი! როგორი წინსვლა!

V

ორ ნახ. კომუნისტური ინტერნაციონალი.

რით განსხვავდება ორ ნახ. ინტერნაციონალი მე-3-საგან? ის წინააღმდეგია რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის შაბლონების გადაღებისა. მაგრამ ცეცხლის მფრქვეველთა პირის წინაშე რომ დააყენოთ რევოლიუციის ავტორნი (ადლერი, ლედებური, მრიჟი და ჟონგელი) მაშინაც ვერ გვიჩვენებენ თვით თავიანთ რევოლიუციაში სხვა მეთოდებს, ვიდრე ამას გვითითებს კომუნისტური ინტერნაციონალი. ძირეული განსხვავება, რომლითაც უნდათ მათ გაამართლონ ორ ნახ. ინტერნაციონალის არსებობა შემდეგია: თითქოს კომუნისტურ ინტერნაციონალს სათანადოთ ვერ აეწონოს სხვაობა სხვა და სხვა ქვეყნების სტრუქტურისა და იმ ტაქტიკისა, რომელიც საჭიროა ძიდებულ იქმნას ამ ქვეყნებისათვის. მაგრამ რა ძალაც არ უნდა იხმაროთ მათ წინაამდეგ, ამ შემთხვევაშიაც სხვა მეთოდს თუ არ ჩვენგან ხაჩვენებისა და მათგან გამეორებულს ვერ მიგვითითებენ. იქნებ უმათი მოსაზრება ასე უნდა გავიგოთ: როგორც ხაერთო ტაქტიკა ჩვენის აზრით მიხადებია უკიდურესი რევოლიუციონური გამოხვლები რომელიც გამოიხატება შეიარაღებულს გამოხვლასა და ხაერთო გაფიცვაში, ხოლო როგორც ხპეციალური ტაქტიკა, ჩვენ გვირჩევნია კოალიცია ქრისტიანულ სოციალისტებთან რომლებთანაც ერთად ფრიდრიხ ადლერის პარტია მოქმედებდა მთავრობაში? ჩვენ გვგონია საკითხი მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ. სხვაფერ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა შიში თავიანთ პარტიულ დამოუკიდებლობის დაკარგვის წინაშე, რომელსაც თურმე მოსკოვი ემუქრება. თუ ავტონომია ემსახურება საერთო რევოლიუციონური პრინციპების განადგების ადგილობრივ, მაშინ ის არ ეწინაამდეგება მკაცრო ინტერნაციონალურს ცენტრალიზაციას; პირიქით უკანასკნელისათვის იგი საუკეთესო იარაღია.

როგორც საკითხიდან ირკვევა, ოთხი ზემოდ დასახელებული წინასწარმეტყველი რეფორმისტებისაგან იმიჯნება შემდეგით: რევოლიუციონური ლოზუნგებით ქადაგდი დაამძიმონ, ხოლო სინამდვილეში რეფორმისტული საქმენი აკეთონ. პატიოსანი კაცები გვიმტკიცებენ, რომ როგორც პარტიათა ხასიათი იცვლება, ასევე იცვლება პიროვნებათა ხასიათიცო. ჩადენილი შეცდომებით, ისინი უფრო ჭკვიანები ხდებიან. ყოვლად დაუშვებელია ინტერნაციონალიდან კაცის გაძევება მხოლოდ იმისათვის, რომ იგი სოციალ-პატრიოტი იყო. არ შეიძლება იგი ამისთვის კიდეც დავამცროთ. ვერ მოვითხოვთ მისგან, რომ კანოსაში თავზე ნაცარგადაყრილი ცოდვების შესანანიებლად წავიდესო. ყოველივე ეს ჩვენზე მოქმედებს და ჰუმანიურიც არის.

მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალი არ თხოვდა შემოერთებულ პარტიებს ლენინის სახელზე კრემლის სამსხვერპლოზე მოეტანათ ის რეფორმისტები, რომელთაც უარი სთქვეს რეფორმიზმზე. კომუნისტური ინტერნაციონალი მოითხოვს გამორიცხვას რეფორმისტებისა და სოციალ პატრიოტებისა, რომელნიც ასეთად დარჩნენ დღემდის. აქ უკვე ლედებური, გრიმები ადლერები და ჟონხელდები გვიპასუხებენ: რატომ, რა მიზეზით საწყალ არსებას, რომელსაც რეფორმისტი ქვია, რომელიც სულ წყნარად, ყოველივე წესის დაცვით, რჩება პარტიაში და ემორჩილება პარტიულ დისციპლინას, აძევებთ როგორც პარტიულ ოჯახიდან? ხომ შეიძლება ის ამის გამო ჯავრით მოკვდეს?

ამ სიტყვების წარმომთქმელნიც კარგი ეშმაკები ბძანდებიან! იმ რობერტ გრიმმს მშვენივრად მოეხსენება, რომ დირიჟორის ჯოხი არა მის ხელში, არამედ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის რეფორმისტულ უმცირესობის ხელშია. გუსტავ მიულერები, გრეილიხები.

ქან ზიგები და მათ ირგვლივ შემოკრებილი პოლიტიკური და ფინანსიური მმართველები პარლამენტებისა და თემთა ფრაქციებში თავს მშვენივრად გრძნობენ; ამათ ხელში პარტიული აპარატიც. პარტიულ ყრილობაზე ეს ვაჟბატონები დაემორჩილებიან პარტიულ დისციპლინას, მაგრამ ყოველდღე მის რევოლიუციას წაბილწავენ.

— როგორია საქმის მდგომარეობა ნემეცურ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში? ბ-ნი ზეიცები, ელენბოგენები, ლეიტნერები და რენერები თავს როდი აიტკივებენ იმ რევოლიუციონური პრინციპების განხორციელებისათვის, რომელიც გამონახა თავის გულის სიღრმიდან ფრიდრიხ ადლერმა ინსბრუკში? კარგათაც შეურაცხებენ ამ პრინციპებს, რადგან თუ სტოვებენ პარტიაში ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგენი ერიდებიან განხეთქილებას და მეტად აფასებენ მთლიანობას. ჟ.ნ ლონგე შეუერთდა და უკვე საფრანგეთის ბურჟუაზიის ლაქიებს რენოდელს და მის კომპ., რომელნიც შედიან II ნახევარ ინტერნაციონალში. ნუ თუ კიდევ დარჩა ისეთი გულუბრყვილო კაცი დაიჯეროს, რომ თუ მდგომარეობა შეიქმნა საომარი რენოდელი უარს იტყვის ნაციონალური დაცვისაგან, როგორც ამას ინსბრუკის თეზისები დაჟინებით მოითხოვს?

II ნახ. ინტერნაციონალის მოთმინებითი ტაქტიკა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიმართული, გადაიქცევა მოთმინების განყოფილებათ, სადაც ყველას შეუძლია ჩამოხტეს: ზოგს მყუდრო ძილისათვის, ზოგს კი არა მშვიდი „სიფრთხილისათვის".

ინტერნაციონალი დახასიათდება უმთავრესათ რეფორმისტებთან მისი დამოკიდებულებით; ამ პუნქტს ცენტრალური ადგილი უჭირავს ინტერნაციონალის კითხვათა შორის. ვისაც არ უნდა რეფორმისტების ჩამოცილება, რომელნიც არიან მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული ტაქტიკის შეტანისა, ის ვერ გაატარებს პრაქტიკაში ხმოვან რევოლიუციონურ თეზისებს. უკანასკნელი გარემოება მხოლოდ ხელს შეუწყობს რევოლიუციონური მასის მოდუნებას, რეფორმისტებს კი საშუალებას მისცემს ბურჟუაზიასთან კავშირის გაგრძელებისას. კამილ ჰიუსმანსი, ეს ჭკვიანი ცინიკი, მართალი იყო, როცა ასეთი აზრი გამოთქვა ორ ნახ. ინტერნაციონალის წარმომადგენლებზე: „ისინი არამც თუ ფიქრობენ, როგორც სოციალ პატრიოტები, არამედ კიდეც მოქმედებენ სოციალ-პატრიოტებივით". ყველაზე უფრო ნათლად ორ ნახ. ინტერნაციონალის ბუნებას ამჟღავნებს ის გარემოება, რომ მისი დამარსებელნი კრისპინები და ჰილფერდინგები სწორედ რევოლიუციონური ინტერნაციონალის დაარსების მომენტში, როცა თითქოს მუშათა კლასი უნდა ჩაითრიონ კაპიტალიზმის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში, სწორედ ამავე დროს წინააღმდეგნი არიან ყოველივე შეერთე-

ყველგან მოედო ევროპის ხალხი, და ბოლოს, საერთაშორისო პოლიტიკაც კი ამ კოლონიების ნიშნით წავიდა. შეიძლება ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღევანდლამდე, დიდი ომების უმრავლესობა კოლონიალურ ქიშპობით იყო გამოწვეული უმთავრესად. ჰოლანდიის კოლონიები მალე ინგლისმა ჩაყლაპა, და ინგლისის მორცხვ მეტოქედ თავი წამოჰყო საფრანგეთმა, რომელმაც მე XVII საუკ. დაასახლა კანადა, შემდეგ საუკუნეში ინდოეთში მოიპოვა გავლენა, მეცხრამეტეში კი აფრიკაში და აზიაში მოიპოვა მნიშვნელოვანი ადგილები. თუმც შიგა და შიგ ინგლისი საგრძნობლად ჰბერტყავდა საფრანგეთის კალთას, მაგრამ მაინც საფრანგეთი დარჩა წელგაუტეხელი. მე XIX ს. საკოლონიო ბრძოლის ველზე გამოდიან იტალია და გერმანია. თუ დაიგვიანეს, ამის მიზეზი შინაგანი ეროვნული დაფანტულობა იყო.

გაერთიანების შემდეგ კი ისინიც ებმიან ამ გაგიჟებულ ფერხულში, და ფალავნების რიცხვი იზრდება. გერმანია აფრიკაში იპყრობს თვალსაჩინო პუნქტებს, დიდ ოკეანეში იმორჩილებს კუნძულებს, იტალია კი მეწამულ ზღვას მისდევს სანაპიროებზე და ინდოეთის ოკეანეს ნაპირებს ისაკუთრებს, კვადრატს და 10 ჩრდ. სიგანის შორის. მაგრამ ინგლისს დარჩა პირველობა. ზღვის სადგურები და სტრატეგიული პუნქტები ბრიტანეთის სწორ თვალს არ გამოეპარნენ, და ყველგან დაარჭეს თავისი დროშა. წარსულ საუკუნეშივე გამოდის ასპარეზზე ამერიკა, ეს ევროპის კოლონიებისგან დაარსებული სახელმწიფო, და პირველ ხარისხოვან მდგომარეობასაც აღწევს, რაც დღითი-დღე უფრო მატულობს, უკვე ჩვენს თვალწინ. ყველაზე უკანასკნელად საკოლონიო ბატონობის მახვილს იაპონია იღებს, მაგრამ ისე მარჯვედ, რომ იქნებ ეს უკანასკნელი გლადიატორი ქვეყნის ძლევველ ჩემპიონად გადიქცეს, თუ კიდევ დარჩება ეს მტაცებელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ვინ იცის!..

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ახალი ამბები

— **პური ტფილისისათვის.** უკანასკნელ დღეებში შემჩნეული პურის კრიზისი შენელდა. სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში უკვე დებულობენ პურით დატვირთულ ვაგონებს. ივნისის 25 სად. ტფილისში სასურსათო სახალხო კომისარიატის მისამართით პურით დატვირთული 7 ვაგონი მოვიდა. მოსული პური შემდეგნაირად გაანაწილეს: 3 ვაგონი რკინის გზის სასურსათო კომიტეტს გადაეცა, 4 ვაგონი კი ქალაქის სასურსათო კომიტეტს.

— **ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა** კვირას, ივლისის 10 დილის 10 საათზე. პირველ გიმნაზიის დარბაზში მართავს საზოგადო კრებას.

— **პროვინციის თეატრი.** შორაპნის მაზრაში თეატრალურ საქმეთა ინსტრუქტორ ორგანიზატორმა გრ. მაჭავარიანმა დასაბუთებული მოხსენებანი წარუდგინა სანახაობითი ნაწილის უფროს ზესტაფონისა, შორაპნისა, ხარაგაულისა, ძირულისა, კიცხისა, ლაშისა და სხვა თეატრების შესახებ. ზესტაფონსა, შორაპანსა და ხარაგაულში სულ ახლო მომავალში დასრულდება სათეატრო შენობანი; საქმეს აბრკოლებს მხოლოდ უსახსრობა; ზესტაფონის თეატრის დასამთავრებლად ინსტრუქტორი თხოულობს თანახმად წარმოდგენილი გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 2 ნახ. მილიონს, შორაპანის თეატრისათვის 9 მილიონი 470 ათასი მანეთს, ხოლო ხარაგაულის თეატრისათვის—6 მილიონს, რეკვიზიტს, ბუტაფორიას და სცენისათვის სხვა საჭირო საგნებს.

— **ხარაგაულის თეატრისათვის** შეუწირავთ ქვათურის რევკომის თავმჯდომარეს 1.000,000 მანეთი, ხარაგაულის რევკომს 50,000 მანეთი, გიორგი მაცაბერიძეს 150,000 მან.

— **მუშათა ცენტრ. კლუბში.** კვირას ივნისის 26, მუშათა ცენტრ. კლუბის ბაღში და თეატრში კლუბის წევრთა მუშებისათვის გაიმართა საბავშვო დილა. სულ მოგროვდა 1000 მეტი ბავშვი, მათთვის მოაწყვეს სხვა და სხვა გვარი გასართობ—სათამაშოები, გიმნასტიური ვარჯიშობა, კონცერტი და სხვა. საღამოს კი კლუბის წევრთათვის გაიმართა სიმფონიური კონცერტი ა. ჩაგუნავას დირიჟორობით, შესრულებულ იქმნა რიმსკი კორსაკოვის სიმღერები.

— **საგარეო ვაჭრობა.** საქართველოს საგარეო ვაჭრობის კოლეგიის სხდომაზე განხილულ იქმნა საკითხი განყოფილებათა შესახებ, რომელზედაც საგარეო ვაჭრობის ტვირთია დამყარებული გადაწყვეტილია დასტოვონ სავაჭრო-ფინანსიური, სატარიფო და აგენტიურის განყოფილებანი, დამფასებელი საექსპორტო კომისია, ბუჰგალტერია და საიურისტ-კონსულ ნაწილი.

— **საბავშვო მოედანი.** მუშათა ცენ. კლუბთან შაბათს ივლისის 2-დან გაიხსნება ბავშთა მოედანი. მეცადინეობა სად. 4 6 ნახევ. საათამდე, ყოველ ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით მიიღებენ 4—1 წლიან ბავშვებს.

— **სახალხო სახელმწიფო ოპერა.** სამშაბათიდან, ივნისის 28-დან ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში გაიხსნება სახალხო სახელმწიფო ოპერა. პირველათაა „რიგოლეტო“.

— **საქონელი ამიერ-კავკასიისათვის.** 24 ივნისს ამხ. მოდებაძისაგან, რომელიც არის წარმომადგენელი საქართველოს სომხეთის საგარეო ვაჭრობის კავშირისა, სტამბოლში, შემდეგი დეპეშა მოვიდა: დღეს გემი „აგენტინო“ ფარალითა და ფეხსაცმელებით დატვირთული ბათომისაკენ გაემართა. ჩვენ ვტვირთავთ გემ „სპარსეთს“ საგარეო ვაჭრობისათვის 30,000 ფ. ფქვილი, რომელიც გამოვა სტამბოლიდან. 23 ივნისს სამ დღის განმავლობაში გემი „ჯორჯია“ გავა ნავთსადგურიდან ფქვილით და შაქრით დატვირთული ნავთის კომიტეტისათვის, შევაჭრით პირობით და ამ დღეებში ბათომს გაემგზავრება დიდი გემი 200,000 ფუთი საქონლით, უმთავრესად ფქვილით და შაქრით დატვირთული, ვღებულობ სასწრაფო ზომებს სიმინდის გამოსაგზავნათ“. ანგარიშების გასასწორებლად და მთელი ოპერაციის სისწრაფით წარმოებისათვის საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კავშირიდან გაიგზავნა ბათომს კოლეგიის წევრი ამხ. რაბინოვიჩი.

## ხელ-ახალი რეგისტრაცია.

სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტის დადგენილობის თანახმად, მთელ საქართველოში უნდა [illegible] ახალი რეგისტრაცია.

ტფილისში რეგისტრაცია. დამთავრდა სამ უბანში გრძელდება შემდეგ უბნებში:

1. ვაგზლის უბანში ამხ. კ. ბაქრაძესთან VI საბჭოთა აფთიაქში (ვაგზლის ქ. № 8).
2. დიდუბის უბანში—კბილის ექიმ ბაქრაძესთან მუშტაიდის შესახვევი № 11.
3. ავლაბარში—პარტიულ ბიუროში საღამოს 6—8-მდე (კახეთის მოედანი № 5).
4. მე-9 უბანი—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის განყოფილების მდივან ელიაშვილთან. 9—2-მდე. ჩერქეზოვის ქუჩა № 36 სად. 4—6-მდე—და აგრეთვე რედაქციაში და ცენტრალურ ბიუროში.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ხუთშაბათს ივლისის 7 ს სად. 8 საათზე ჩუღურეთში (პარტიულ ბიუროში 19 თებერვლის ქუჩა № 9) დანიშნულია სოც.-ფედ. პარტიის წევრთა კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. თ. ღლონტი შემდეგ თემაზე: „ჩვენს პარტიაში არსებული მდგომარეობა“. შემდეგ არჩეული იქნება საუბნო კომიტეტი. დასწრება შეიძლება საწევრო ბარათებით.

—

დღეს, ივლისის 6 ს სად. 7 საათზე დანიშნულია მე-2 უბნის (მთაწმინდა) სოც.-ფედ. პარტიის წევრთა კრება. წაკითხულ იქნება მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩვენი უახლოესი მიზანი“ და არჩეულ იქნება საუბნო კომიტეტი. დასწრება შეიძლება საწევრო ბილეთებით.

—

საქ. სოც.-ფედ. პარ. ქუთაისის ახალგაზრდათა „სარაიონო ორგანიზაციამ“ მოისმინა მოხსენება დრ. მთავარ და მთავარ კომიტეტის გეზისა და მოქმედების შესახებ დაადგინა: 1. მიზანშეწონილად აღიარებს 52 დელეგატის გადადგმულ ნაბიჯს კონფერენციის უკანონოდ გამოცხადების შესახებ. 2. იწონებს დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედებას და ავალებს ენერგიულ მუშაობას. 3. საყვედურს უცხადებს მთავარ კომიტეტს უმოქმედობისა და იმ ნაბიჯების გამო, რომელიც მათ მიერ გადადგმულ იქნა კონფერენციაზე. კრების თავმჯდომარე: ნ. დოლაბერიძე. მდივანი დ. რატიანი.

## რადიო

**საკომისიო დუქნები**

მოსკოვი. ივნისის 27. გომელის დეპოხსნის საკომისიო დუქნებს, სადაც მიიღება ყოველგვარი საქონელი და ნივთი გასაყიდად და გადასაცვლელად.

**კომუნისტური კოოპერატივი.**

მოსკოვი. ივნისის 27. პენზაში კომუნისტურმა პოლკმა დააარსა კომუნისტური კოოპერატივი. გახსნილია სახელოსნო. კომუნისტები გამოიმუშავებენ საქონელს თავის სპეციალობის და მიხედვით გაცვლა-გამოცვლის მოსაწყობად.

**სამხედრო ზომები სამეურნეო ფრონტზე**

მოსკოვი. ივნისის 27. ყუბანში კალიისა და ხარაბუზის გასანადგურებლად მხრჩოლ გაზებს ხმარობენ.

**კარგად იმუშავეს.**

მოსკოვი. ივნისის 27. ორლოვის სტამბაში ამუშავდა 35 ძალიანი ელექტრონის სადგური. ის მოაწყო სულ ხუთმა კაცმა.

---

ბისა კომუნის კებთან შეთანხმებითი მოქმედებისათვის ყოველივე შეერთებისა; ამით თვის დამოკიდებულებას სოციალ-დემოკრატიულ უმოქმედობის ტაქტიკასთან აძლიერებენ. ასეთი საქციელების გამოქვეყნებით უნდა შევადგინოთ ჩვენი აზრი ორ ნახ. ინტერნაციონალზე და არ ავაშენოთ ჩვენი შეხედულება მათს წარმოთქმული შიშველ სიტყვებსა და პრინციპებზე. ოპორტუნისტებისათვის პრინციპებს ხილივით დაბალი ფასი აქვს თავის თავად, ოღონდ კი იგი გამოიყენონ პროლეტარიატის რევოლიუციონური მოქმედების შეჩერებისათვის

**ორ ნახ. ინტერნაციონალის მომავალი.**

ორ ნახ. ინტერნაციონალი ისეთი ორგანიზაციაა, რომელსაც არ აქვს კომპლექსი დამოუკიდებელ პოლიტიკური იდეათა. ეს ორგანიზაცია შორს არის განახორციელოს კომუნისტურ ინტერნაციონალისაგან გადაღებული იდეები, რომლების გარყვნა-გათახსირება მან უკვე მოასწრო. საზოგადოთ ის არ არის პროლეტარიატის ინტერნაციონალური ორგანიზაცია, მაგრამ მას დიდი სურვილი აქვს გახდეს ასეთად; მისი აზრია გახდეს სუსტად შეკავშირებულ ნაციონალისტურ ცენტრალისტურ პარტიათა ფედერაციათ. არაჩვეულებრივი სიმძაგით ხედის ჩაკიდება ამსტერდამის ყვითელ პროფკავშირთა ინტერნაციონალისა ამუშავებს, თუ რამდენად ნაკლებად ენდობა იგი თავის ბრძოლის უნარიანობასა და ცხოველმყოფელობას. ამის და მიუხედავად დიდი შეცდომა იქნება გვეფიქრა, რომ ორ ნახ. ინტერნაციონალს არ შეუძლია სიცოცხლე. თუ კი დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობა საკმაოდ ჩქარი რევოლიუციონური განვითარებით არ წავიდა, თუ კი მუშათა მასსების გარევოლიუციონერობა ნელი ნაბიჯებით გაემართა, მაშინ ორ ნახ. ინტერნაციონალი შესძლებს შეაჩეროს გზაჯვარედინზე მდგომი რევოლიუციონური მასსები, რათა უკანასკნელნი არ შეუერთდნენ მე-3-მე ინტერნაციონალს. ორ ნახ. ინტერნაციონალი გახდება ნავსაყუდელად იმ უსახლკაროთათვის, რომელთაც ჯერაც არ იციან თუ საით წავიდნენ. მისი არსებობა იქნება, რაღა თქმა უნდა, მოჩვენებით. მოკლებული მოქმედების უნარს, რომ შეიქნეს ცოცხალი სულის ჩამდგმელი მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდის პროლეტარიატისა, ის იქნება მხოლოდ ილიუზია პროლეტარიატის არიერგარდისა მანამდის, სანამ ისტორიისა და მოვლენათა ნება არ დააჯახებს მას მსოფლიო რევოლიუციის ფრონტს.

რამდენ მრავალი არის ჯერ კიდევ ამ გაურკვევლობის შიშით შეპყრობილი მასა, გვიჩვენა იტალიის სოციალისტური პარტიის ახლო დღეების ისტორიამ. უკანასკნელი ითვლებოდა კომუნისტური ინტერნაციონალის უძლიერეს ორგანიზაციათ. მის რიგებში მდგომმა ათიათასებმა (და მეტმაც) მუშებმა გამოიჩინეს იტალიის რევოლიუციის ავანგარდულ ბრძოლებში არაჩვეულებრივი ენერგია. მათ საქმითაც დაამტკიცეს საბჭოთა რუსეთისადმი თავისი სიმპატიები, როცა უკანასკნელს უდიდესი უბედურება ადგა კარს. ისინი მიემხრნენ პროლეტარიატის დიქტატურის იდეას, მათ შეითვისეს იდეა მუშათა საბჭოებისა და კიდეც ცდილობდნენ რევოლიუციონური გზით განეხორციელებიათ კონტროლი მრეწველობითი საბჭოებისა წარმოებაზე. ამის და მიუხედავად მათ მჭიდროთ აკავშირებს რეფორმისტებთან წარსული, რომლის მნიშვნელობას ვერ ხვდებიან, თუმცა უკანასკნელს შეუძლია იტალიის რევოლიუციის ჩახრჩობა. რეფორმისტებში მომხდარი განხეთქილების გამო, რომელთაგან ერთი ნაწილი გარკვევით დადგა იმპერიალიზმის გზას და პარტიას ჩამოსცილდა, იტალიის პროლეტარიატი ვერ სჭვრეტს დაავადმყოფებას დემოკრატიულ პაციფისტური ელემენტებისაგან პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებისას, რომელნიც მტრულად არიან განწყობილნი სოციალისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურისადმი, და არ ამ პროლეტარულ მასას, რომელიც თავს სთვლიდა კომუნისტური ინტერნაციონალის ავანგარდათ, როცა დაისვა სარჩევი რეფორმისტულ ხელმძღვანელებსა და კომუნისტურ ინტერნაციონალის შორის,—წინეკადლა რეფორმისტულ ხელმძღვანელებს, ის ფაქტი, რომ სერატის მომხრე მუშები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მათ შეინახეს ერთგულება მესამე ინტერნაციონალის წინაშე, ლაპარაკობს სასარგებლოდ იმისა, თუ რამდენ ხიფათშია ჩავარდნილი ცენტრისტებისაგან მთელი მუშათა მოძრაობა.

ცენტრისტული აზროვნების საწამლავმა ღრმად გაიდგა ფესვები მუშათა კლასის ფსიხიკაში მხოლოდ თანდათანობით განვითარებას მსოფლიო რევოლიუციისას შეუძლია გამოიტანოს იგი გარეთ. არც თეორეტიული გამოკვლევების და არც პროპაგანდის გზით ვერ მივიყვანს ამ პსიხიკაზე სრულს გამარჯვებამდის. ამ საწამლავს გაუსწორდებით მხოლოდ ბრძოლით, რომელსაც შეუძლია შთაბეროს მასსებს სიმტკიცისა და რწმენის სული; ბრძოლა შთაუნერგავს მათ რწმენას, რომ ყოველივე რყევა გადამჭრელ მომენტში—სიკვდილს უდრის. აღნიშნული მოსაზრება, რომ ცენტრისტული სული უნდა ჩაიხრჩოს მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობის დროს, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მისცეს მას თვის წიაღში ადგილი, რათა იგი შემდეგში რევოლიუციისაგან დამარცხდება. თავის თავად ცხადია, რომ ის დაავადმყოფებული ორგანოები, რომელთაც მიიღეს ცენტრისტული საწამლავი, უნდა იქმნან მოცილებულნი, რომ მათ არ შესძლონ მთელი სხეულის დასნეულება.

დე ჰილფერდინგებმა დამშვიდებით შანი მოგვიგონ და გვიძახონ სექტანტებო, რომელნიც ხალხს გაურბიან მარტო იმისათვის, რომ მასსა მაშინვე არ დებულობს ყველა ჩვენს რეცეპტებს ყოველივე მსჯელობის გარეშე. კომუნისტური ინტერნაციონალი—პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდი. რამდენად იგი გრძნობს აუცილებლობას ნელი განვითარების პროცესში მყოფ მუშათა მასსებისადმი კონტაქტისა და მტკიცე კავშირის დაჭერისას, უფრო მეტად უნდა ზრუნავდეს იგი, რათა საკუთარ რიგებში,—რევოლიუციის ავანგარდის რიგებში, იყოს დაცული ფხიზელი წარმოდგენა და ნათელი გაგება მოსალოდნელ მიზნებსა და გზებზე. ვისაც უნდა რევოლიუციონური მასა ჩაითრიოს რევოლიუციონურს ბრძოლაში, მას რაღა თქმა უნდა ამ მასსებთან მჭიდრო კონტაქტი უნდა ქონდეს. მან არ უნდა ამოირჩიოს მარტო საკუთარი შეხედულობით ისეთი გზა, რომელზეც თვითნებურად მოინდომებს მასების მიმართვას. კომუნისტური ინტერნაციონალი ამას არასოდეს არ სჩადიოდა, ის ისახავს მიზანს, რომელიც ემყარება გაგებას მსოფლიო რევოლიუციის განვითარების ტენდენციისას. კომუნისტური ინტერნაციონალის მიზნების მიღება კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ შენი საკუთარი სურვილები დოქტრინალურად დაუპირდაპირო მუშათა მასებს. ეს ნიშნავს: მუშათა კლასის დღევანდელი დღის მდგომარეობიდან უნდა დავასკვნათ ხვალინდელი საქმიანობის გეგმა; არ უნდა დავკარგოთ თვალიდან მიზანი, რომელიც მოსჩანს ბილიკებიდან; ეს კი ნიშნავს: ბრძოლის პროცესში, როცა მასსები ირყევიან და ტორტმანობენ ხშირად ბრძოლის შედეგებით დაფრთხალნი, უნდა შეიქმნას მტკიცეთ შეკრული ავანგარდი, რომლის საშუალებითაც უნდა გავიტაცოთ მასები წინ, გამარჯვებისაკენ.

ამისთვის კი საჭიროა არა მარტო მეტი კავშირის დაჭერა ჯერ კიდევ მერყევ მუშათა მასებთან, არამედ ჩვენი მოვალეობაცაა—ბრძოლა. დაუნდობელი ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველივე ილიუზიებისა, ყოველივე მერყეობისა და რაც ყველაზე საყურადღებოა ცენტრის წინააღმდეგ. უნდა ვებრძოლოთ ცენტრის ხელმძღვანელებს და ორგანიზაციებს, ამიტომ დამოკიდებულება კომუნისტურ ინტერნაციონალისა და მეორე ნახ. ინტერნაციონალს შორის არის აშკარი საომარი დამოკიდებულება.

რამდენად უნდობელი, რამდენად სისტემატიური იქნება ჩვენი ბრძოლა მატყუარობასა და სიცრუესთან, იმდენად მტკიცედ შევმკვიდრავთ ჩვენ ჩვენს რიგებს და იმდენად ძლიერი იქნება ჩვენი გავლენა ორ ნახ. ინტერნაციონალის დამცველ მუშებზე. ამ მასსებთან ვიქნებით ყოველთვის მოქმედების დროს, როცა არ უნდა მოვეხვიოს თავს გაბრძოლები. მათ ხელმძღვანელებს ჩვენ დაუნდობელს ომს გამოუცხადებთ ყოველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც ისინი მოინდომებენ მუშა მასების მოტყუებას, ან მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ისინი უღალატებენ თავიანთ მოვალეობებს.

გერმანიის მემარჯვენე დამოუკიდებელთა ისტორია გვიჩვენებს, თუ ჰალეს განხეთქილების შემდეგ, სადაც მათ დაკარგეს დიდი ტვირთი მუშათა რევოლიუციონური მასების სახით, როგორ ჩქარა გადაიხარნენ ისინი მარჯვნით და პირპადის ჩამოხსნით ისინი აჩქარებენ კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვებას.

ორ ნახ. ინტერნაციონალი ნაყოფია რევოლიუციონური პროცესისა, რომელსაც მიელი მსოფლიო განიცდის; მაგრამ ეს ისეთი ნაყოფი როდია, რომელიც მოსჩანდეს მსოფლიო რევოლიუციის შემოქმედებითი სული; ეს არის ისტორიის ქატო, ნაყოფი, რომელიც ამოტივტივდა მსოფლიო რევოლიუციის დუღილში. ამიტომ ორ ნახ. ინტერნაციონალი წაილეკება მსოფლიო რევოლიუციის ნიაღვარიდან, როგორც კი ოდნავ იგი უფრო ჩქარა ამოძრავდება. მანამდის კი მას უნდა გაშმაგებით ვებრძოლოთ, როგორც გადმონაშთელი მრუდე ტრადიციისა, როგორც შემჩერებელი იმ მომენტისა, როცა პროლეტარიატი ძილისაგან თავდახსნილი გადაეშვება რევოლიუციურ ხელჩართულ ბრძოლაში.

კარლოს რადეკი

**პურის მოსავალი რესპუბლიკაში.**

**ყაზანი 24 ნ.** კანტონთა უდიდეს ნაწილში უკანასკნელათ 1 ივნისამდე მოსულ წვიმის მეოხებით პურის მოსავლისა და ბალახის მდგომარეობა გამოკეთდა. მოსალოდნელია საშვალო მოსავალი.

**ოქროს კერძი.**

**მოსკოვი 27-ნ.** ოფიციალური ცნობების მიხედვით შეერთებულ შტატების ოქროს ფონდი, რომელიც კერძო პირთა და სახოგადო დაწესებულებებს ეკირავს, 3250 მილ. ოქროს დოლარს შეადგენს ე. ი. მსოფლიოს ოქროს თადარიგის 2-3 ნაწილს. ყველაფერი ეს ამერიკამ ომიანობის დროს შეიძინა. დღეს მსოფლიოს ჩარჩია.

**ნავთი თურქესტანში.**

**მოსკოვი.** ივნისის 27. თურქესტანის ნავთის სამრეწველოებებიდან მაისის განმავლობაში ამოღებულია 93 ათასი ფუთი ნავთი.

**სამხრეთში საქონლის გაცვლა-გამოცვლა ხაზღვარ გარეთთან.**

**მოსკოვი,** ივნისის 27. ნოვოროსიისკში მივიდა ინგლისის გემი, რომელმაც 5 ათასი სასოფლო სამეურნეო მანქანა და იარაღი ჩამოიტანა. გემის კაპიტანმა გვაცნობა, რომ რამოდენიმე დიდი საზღვარგარეთის გემი ნოვოროსიისკენ მოდის დატვირთული.

**ჩრდილოეთში საქონლით გაცვლა გამოცვლა საზღვარგარეთთან.**

**პეტროგრადი,** ივნისის 27. კრონშტატში მოვიდა რუსული გემი „ლივერპული“ საბჭოთა დროშის ქვეშ. მან ინგლისიდან ჩამოიტანა თევზი. გემი ნაყიდი იყო დროებით მთავრობის მიერ და ინგლისში იმყოფებოდა სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე. ესტონეთი პროტესტს აცხადებს ამ გემის საბჭოთა რესპუბლიკისადმი გადაცემის გამო. რეველში გემი დროებით იქნა შეკავებული, მაგრამ ბოლოს ესტონეთის მთავრობამ სცნო იგი, საბჭოთა რუსეთის საკუთრებათ.

**საქონელი.**

**მოსკოვი.** საგარეო ვაჭრობის გაძლიერება დაიწყო. ამ წლის 5 თვის განმავლობაში ჩამოტანილია შედარებით იმაზე მეტი, ვიდრე მთელ 1920 წ. განმავლობაში. შარშან შემოტანილი იყო 5 მილ. 23 ათასი ფუთი საქონელი, ამ 5 თვის განმავლობაში კი 8 მილ. 534 ათასი ფუთი. უმთავრესად შემოტანილია ნახშირი. (2 მილიონისა). შემოტანილი საქონლის რაოდენობა ყოველ თვე იზრდება. ჩვენ საქონელს უმთავრესად გვიგზავნის ინგლისი, ესტონეთი, გერმანია. ინგლისი 45 პროც. გზავნის, ესტონეთი 18 პროც. გერმანია 12 პროც. ინგლისიდან მიღებულია ფქვილი, კონსერვები, სელდი, ქვანახშირი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბამბა, ტანსაცმელი და სხვა.

**ბრძოლა რუსეთის დიდი კომპანია დამშეულთა დასახმარებლად**

**მოსკოვი.** 26-ნ (რადიო). დასაწყისი არ მივვიდია) ამ ამოცანას ჩვენ ისე კარგათ შევასრულებთ, როგორც არ ერთხელ შეგვისრულებია უფრო ძნელი ამოცანები ჩვენი საბჭოთა ადმინისტრაციისა. ვოლგის მიდამოებს თავს დაატყდა უბედურება. ისეთი გვალვებია რამოდენიმე გუბერნიებში, რომ პურის მოსავლის გვალვის გამო სულ არ მოელიან. (დამახინჯებულია). იმ დროს, როდესაც ყველა დანარჩენ გუბერნიებში მოსავალს საშუალო ჰპირი უჩანს, ზოგიერთ გუბერნიებში ძალიან მოსავლის პირი. კარგია აპპირობებში მთელი რუსეთი და განსაკუთრებით დანარჩენი. გუბერნიების გლეხობა, ცდილობულია დაეხმაროს მშიერ ვოლგის რაიონის გლეხობას. ამისათვის საჭიროა შევქმნათ სპეციალური კომისია მთელი რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან. საჭიროა საზღვარ გარეთ შევისყიდოთ სურსათ-სანოვაგე და შევქმნათ ფართო კომპანია ლოზუნგებით ვოლგის პირის დამშეულ გლეხების მისაშველებლად ადგილობრივად დახმარების საქმეში უნდა გამოიჩინონ ფართო ინიციატივა.

გლეხები უნდა მოეხმარონ გლეხებს ამ საქმის მოსაგვარებლად საქმეში უნდა ჩავაბათ ვინც უფრო დაინტერესებულია ე. ი. თვით დაზარალებულნი. ამისათვის ჩვენ უნდა მოვაწყოთ სრულიად რუსეთის უდიდესი კამპანია დამშეულთა დასახმარებლად.

**საგარეო საქონლის გაცვლა გამოცვლის შედეგი.**

**მოსკოვი.** 27 ნ გერმანიიდან მიიღეს მიწის სამუშაო იარაღების რკ. გზის საგნები და თესლეულობის სასუქი. ესტონეთიდან ქაღალდი, თესლეულობა და კარტოფილი. 1921 წლის ჩვენ მიერ გატანილ საქონლის რაოდენობა უდრის 1 მილიონ 176 ათას ფუთს. ეს შემოზიდულ საქონლის რაოდენობის 25 პროცენტი შეადგენს: ნედლეულობა, საზღვრით დამუშავებული მასალები, უმთავრესი ხეტყე, კანაფი და სურსათ-სანოვაგე: უმთავრესი მიდვაქვს ლიტვაში, ესტონეთში და ოსმალეთში. პირველი ორი ჩვენთვის ნორმა, აღწევს სატრანზიტო პუნქტს.

# კომინტერნის მე-3 კონგრესი

**დელეგატების გამოსვლები**

მოსკოვი. 2 ივლისი (რადიო) იტალიის დელეგატები ირწმუნებიან, რომ ყოველივეს, რაც კი მათზეა დამოკიდებული გააკეთებენ მომავალ პარტიულ ყრილობაზე ამისათვის, რომ კონგრესის დადგენილებანი გატარებულ იქმნას სინამდვილეში.

იმავე დროს განცხადებული იქნა წინადადება ჩეხოსლოვაკიის დელეგაციისა: უნდა შეიკრიბონ იმ სახელმწიფოების დელეგატები, რომელნიც ეკუთვნიან მცირე ანტანტის სახელმწიფოებს, აგრეთვე ჰუნგრეთისა და პოლონეთის, რათა გამომუშავებულ იქმნას საერთო ტაქტიკა, რადგან მცირე ანტანტას მიზნად დაუსახავს საბჭოთა რუსეთის მოსპობა. ამ შეთქმულობაში უნდა მას ჩაითრიოს ჰუნგრეთი და პოლშა. ბურჟუაზიის შეერთებულ ძალას უნდა დაუპირდაპირდეს შეკრული კომუნისტური პარტიები. რასა თქმა უნდა ეს წინადადება მიღებულ იქმნა.

**ამხ. რადეკის მოხსენება ინტერნაციონალის ტაქტიკაზე.**

ტაქტიკის გარკვევის დროს—იწყებს ამხ. რადეკი, ჩვენ თანამედროვე ეპოქის სინამდვილის კონკრეტიული დაფასებიდან უნდა გამოვიდეთ. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა გზით მიდის მსოფლიო რევოლიუცია—ნელის გზით თუ ქვედატანებით? ამგვარადვე კომინტერნისათვის აუცილებელია საკითხების დასმა არა მარტო რევოლიუციის პერიოდებში, არამედ მაშინაც, როცა უკანასკნელი დაღმა ექნება. მიუხედავად ამისა ამხ. რადეკი საჭიროდ სთვლის მიაგონოს კონგრესს ძირითადი დებულება ამხ. ტროცკის მოხსენებისა, რომელიც გარკვევით გვეუბნება: დღეს დღეობით არ გამოჩენილა ისეთი ძალები, რომელთაც უნდა გვაფიქრებინოს, რომ რევოლიუციის განვითარებაში მოხდა გარდატეხა მოხდა. არავინ არ ფიქრობს ჩ სთვალოს მარტოვე გაფითრებულ მომარეთ მსოფლიო რევოლიუციისა. ამის და მიუხედავად მან მოათავსა მთელი რიგი სტატიებისა, რომლებშიაც ამბობს რომ კონტრ-რევოლიუციის გაძლიერება კიდევ არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი სძლევს წინააღმდეგობებს. პირიქით შეუძლებლობა კაპიტალიზმისა აღადგინოს თავისი მეურნეობა პროგრესიულად განვითარებული უმუშევრობა სამუშაო ხელფასისა და შრომის საათების შემცირება, აი რა ახასიათებს თანამედროვე მომენტს მარტივის თქმით. ამ კრიზისმა აუცილებლად უნდა გამოიწვიოს გამოსვლები.

ორნახევარ ინტერნაციონალი და საერთაშორისო რევოლიუცია.

გადადის რა მეორე ნახ. ინტერნაციონალის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებზე ამხ. რადეკი აქვეყნებს ფრიდრიხ ადლერის მოსაზრებას, რომ თითქოს კომუნისტური ინტერნაციონალი სპეკულიაციას ეწეოდეს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების ჩქარი ტემპის ნიადაგზე. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ მიუთითებდით, რომ ჩვენი ტაქტიკის გამორკვევის დროს აუცილებელია გამომდინარეობდეს თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციისა. ორ ნახევარ ინტერნაციონალის ეს დაგვიანება რევოლიუციისა ესმის როგორც პერიოდი პარტიის თავისუფალი და მშვიდობიანი განვითარებისა იმ ხანამდის, როდესაც ადლერს საშუალება ექნება მშვიდად და უშიშრად ილაპარაკოს ბარიკადზე. ჩვენს წარმოდგენაში კი საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების პროცესი არის ხანა განუწყვეტელი მძლავრი ომებისა, რომლის განმავლობაშიც კომუნისტურ პარტიებს გამარჯვებაც შეხვდებათ და დამარცხებაც. შემცდარია აზრი ზოგიერთ ამხანაგების, როგორც მაგ. ჩეხოსლოვაკიის წელი განვითარების თვალსაზრისიდან. და ამიტომაც იყო რომ მიუცილებელ საჭიროებად მივვაჩნდა ბრძოლა გადვემართა მემარცხენე მოუთმენარ ელემენტებთან. მაგრამ ჩვენ სრულებით სხვა და სხვა წარმოდგენა გვაქვს თვით პროცესზე საერთაშორისო რევოლიუციის მეომარ ძალთა გადაჯგუფ სლოგანების ლიდერის შმერლის, თითქოს ახსნილი დიდი ომების ხანა დამთავრდა და ჩვენ უნდა გადავიდეთ პოზიციურ ომების ნიადაგზე. ეს სრულებით არ არის მართალი, რადგან ამ ჟამად ჩვენ ვიმყოფებით ომების შეჩერების ხანაში კი არა, არამედ პროლეტარიატის არმიის გადაჯგუფებისა და შევსების პერიოდში. ამხ. რადეკი დასცინის რა ორ ნახ. ინტერნაციონალის შეხედულებას, რომ პროლეტარიატს ძალა-უფლება დაფუძნებული არ უნდა იყოს საბჭოთა სისტემაზე, იგი ეხება შემდეგ დებულებას ადლერისას თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა არ იყოს გზა და საშუალება გამარჯვებისა ენ, რადგანაც ეს რუსეთის მაგალითს არ დაუმტკიცებია. თუ რუსეთის მაგალითი რაიმეს კი ამტკიცებს, ამბობს ამხ. რადეკი, პირველ ყოვლისა მხოლოდ იმას, რომ ამ ქვეყანაში, სადაც სასოფლო მეურნეობას უმთავრესად მიწად მოქმედების ხასიათი აქვს, ძლიერ ძნელია კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა. მაგრამ თუ რუსეთის მაგალითმა გვიჩვენა, რომ წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში სოციალიზმზე გადასვლა ძლიერ ძნელია, მაშინ უეჭველად დამტკიცებულია ისიც, რომ დემოკრატიზმის გზით საფრანგეთში მივეიყვანა პლუტოკრატიის ბატონობამდე, ხოლო ინგლისში გუშაწინდელ ცნობამდი გაფიცულ მუშების წინააღმდეგ მთავრობის მიერ ყოველ გვარ რეპრესიულ ზომების მიღებამდე.

**მახეებთან უფრო ახლოს**

ჩვენი მიზანია ჩავითრიოთ რაც შეიძლება უფრო ფართე წრეები, ყველა ელემენტები, რომელთაც საერთო რევოლიუციონურ მოძრაობაში შეუძლიათ ითამაშონ გადამწყვეტი როლი. ამ ტაქტიკის შესახებ ჩვენ გვებრძვის ჩვენი მემარცხენე ამხანაგები, რომელთაც წარმოუდგენიათ ჩვენი მიზანი მცირე და პატარა ჯგუფების შექმნაში, რომელნიც ითამაშებენ რევოლიუციონური მოძრაობის წინასწარმეტყველების როლს. მაგრამ მხოლოდ პროლეტარიატის ფართე წრეებში, მხოლოდ პროფესიონალურ კავშირებში ფაბრიკასა და ქარხნებში აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს კომუნისტების მუშაობა. ჟინიადგოთ.

კომუნიზმი, დაცილებული ამ ტაქტიკას, ღებ დარჩეს პატარა პროპაგანდის ტთა ჯგუფების წილად და ხვედრად, რომელნიც უშედეგოთ დახარჯავენ თავის რევოლიუციონურს ენერგიას.

**საჭიროა უფრო მკვეთრად გატაროთ ცხოვრებაში კომინტერნის დადგენილებანი.**

ახლა განვიხილოთ, განაგრძობს ამხ. რადეკი თუ როგორ ატარებდენ ცხოვრებაში კომუნისტური პარტიები იმ ტაქტიკას, უმთავრესი გეზი რომლისაც გამომუშავებულ იქნა კომინტერნის მეორე კონგრესის მიერ. ავიღოთ მაგ. ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელიც დღეს-დღეობით იბრძვის გრანდიოზულ მუშათა მოძრაობის პირობებში.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიის ცენტრალურ ორგანოში არ არის არც ერთი მითითება, არც ერთი ცნობა ინგლისის პროლეტარიატის ხელმძღვანელობაზე კომუნისტებისაგან რაიმე გავლენის მოხდენის შესახებ. და საჭიროა აუცილებლად მიუთითოდ, რომ მცირე რიცხოვანი კომუნისტური პარტიები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებენ თავის მოვალეობას საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის წინაშე, თუ ისინი ყოველთვის სათავეში ჩაუდგებიან თავის ქვეყნის პროლეტარიატის ყოველგვარ გამოსვლას.

(დასასრული იქნება)

# საინსტრუქტორო კურსები

კვირას, ივლისის სამს განათლების სახალხო კომისარიატმა ზეიმით გახსნა, მასწავლებელთა ინსტრუქტორების და ორგანიზატორების მოსამზადებელი კურსები. ინსტიტუტის გახსნას დაესწრო სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები.

კრება გახსნა სახალხო განათლების კომისარიატის წარმომადგენელმა, რომელმაც მოკლე შინაარსიანი სიტყვით მიესალმა კრებას.

სიტყვები წარმოსთქვეს და მიესალმნენ კრებას შემდეგი პირები:

ცენტრალურ კომ. პარტიის სახელით ორახელაშვილი რომელმაც აღნიშნა მოკლედ და მკაფიოდ მომენტის მდგომარეობა და მშვენიერი სიტყვით უსურვა მომავალ ინსტრუქტორებს ნაყოფიერი მუშაობა სწავლა-განათლების სარბიელზე მშრომელთა მასსაში. შემდეგ ტეხნიკურ პროფკავშირის და მთავარ პოლიტიკურ მმართველობის გაზ. „წითელი მხედრის“ რედაქტორი ამხ. ს. ქურიძე. მსმენელების მხრივ საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს რუსულ ენაზე ამხ. ბახტაძემ დ დეკანოზიშვილმა რის შემდეგ მასალმების დეპეშა გაეგზავნა რუსეთის სწავლა-განათლების ხელმძღვანელს. ლუნაჩარსკის და საქართველოს მთავრობას. დასასრულ მსმენელების ჯგუფს მიერ შესრულებულ იქმნა ინტერნაციონალი და სტუმრები მიწვეულ იქმნა სადილზე.

ოფიციალურად მართალია 3 ივლისს გაიხსნა ინსტიტუტი, მაგრამ მეცადინეობა დაიწყო პირველ ივლისს ინსტიტუტში მსმენელებად მოწვეულია მაზრიდან ექვს-ექვსი კაცი. კურსებზედ ლექციები იქნება რუსულ ენაზედ. ქართული ენა გადადებულია საუბედუროთ განზედ თუმცა ქართველებიც არიან ლექტორებად.

ორ ივლისს მოხდა მსმენელების საორგანიზაციო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ბახტაძე რადგანაც მსმენელთა შორის კრებაზედ ერია ორი კაცი რუსები მოითხოვეს, რომ კრება წაეყვანათ რუსულ ენაზედ რაზედაც ამხანაგი მსმენელები დასთანხმდენ ორი ამხანაგის გამოკლებით და კრება წაიყვანეს რუსულ ენაზედ.

მსმენელების ყურადღება უნდა მივაქციო იმ გარემოებას, რომ კვირის კრებაზედ ის პირნი, რომლებიც წარმომადგენელია უმაღლესი ორგანოების საბჭოთა საქართველოსი და ქართულად ლაპარაკობდენ, ეს იმ დროს როცა კრების მესამედს რუსობა შეადგენდა, ნუ თუ ჩვენ რა შევიძინეთ ისეთი რომ ქართული ენა განზედ გადავდვით და რუსულზედ ავწარმოეთ?..

სასურველი იქნება მაინც, რომ ამხ. მსმენელებმა საერთო მუშაობა ქართულ ენაზედ აწარმოონ, რადგან, რუსულ ენაზედ ლექციები რომ იკითხება ისიც საკმარისია.

გრ. შავიშვილი.

# ჯანმრთელობის სახალხო კომისარის საყურადღებოთ

ქალაქის ჯანმრთელობის სასანიტარო—საგანმანათლებლო განყოფილებამ ტფილისის ქუჩებზე გამოაკრა ფურცლები, რომელშიაც არის ნაჩვენები სხვა და სხვა საშუალებანი და ზომები ხოლერის მოსასპობად და თავისთავის გადასარჩენათ. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველანი მიიღებენ საწრაფო და გადამწყვეტ ზომებს საქართველოდან ხოლერის გასადევნათ... მაგრამ ეხლა ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. მე მინდა მივაქციო მთავრობის ყურადღება შემდეგ სამწუხარო ფაქტს. ერთიერთი ფურცელი, ქუჩაში გამოკიდული, შემდეგი შინაარსის და სტილისაა. მომყავს სიტყვა სიტყვით: „მიიღეთ ზომა რომ ყველას ქონდეს აცრილი ხოლერის წინააღმდეგ“... და სხვა; ქვემოდან ხელს აწერს ასე: „სანიტარული—განმანათლებელი განყოფილება ქალაქის ჯანმრთელობის კომიტეტისა“. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამგვარად „კომიტეტი“ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოიპოვება; და თუმცა თვით დაწესებულება აწერს ხელს, მაგრამ „ალბათ“ ქართულად ვერ გადმოთარგმნეს რუსულით და ამიტომ დაწესებულების სახელწოდება დაამახინჯეს. ნამდვილი სახელწოდება კი არის და [illegible] მრთელობის [illegible] საგანმანათლებლო [illegible] ჩაში იდგნენ და ერთი [illegible] ბოდნენ: არის თუ არა ქალაქის კომიტეტი?.. შემდეგი რაც ყოველ მკითხველში ღიმილს გვრიდა იყო ნაჩვენებ ფურცლის დასაწყისი. ამ ფურცელს აშკარათ ეტყობა ერთგვარი ქართული ენის „ტანჯვა“. რუსულად თუ იგივე სიტყვები კარგად გამოდის და მასში გარკვეული აზრი გამოხატულია, ქართულად გაუგებარია. აქ უნდა ხაზგასმით აღნიშნული ყოფილიყო, რომ ხალხმა მიიღოს ზომა, რომ ყველამ აიცრას ხოლერის საწინააღმდეგო ვაქცინა.

მე თითონ გავიგე მკითხველების კითხვა: კარგია, მაშ რაღა ავიცრა ხოლერის წინააღმდეგ?!“ ეს კითხვა, არა სპეციალისტებისათვის ქარ. მუშებისათვის და გლეხებისათვის დარჩა გაუგებარი.

ჩვენი, ქართველების სურვილია, რომ ენას არ ამახინჯებდნენ და რომ ქართული ფურცლები ცოტა შინაარსიანათ და მკაფიოდ ყოფილიყო დაწერილი, რათა მდაბიო ხალხს ადვილათ შეეძლოს ფურცლის შინაარსის გაგება ნაჩვენებ ზომების შესასრულებლათ. აქ კი ეტყობა, გამგებ სრულიად არ იცის ქართული ენა და რასაც შემთხვევით ქართულად დაუწერენ ან გადმოუთარგმნიან ის კარგი და მისაღები ჰგონიათ. ასეა, ასე, ოღონდ რუსული იყოს ლამაზი თორემ ქართულს ვინ დაეძებს!.

უნდა მიექცეს ამ მოვლენას სათანადო ყურადღება, რათა შეცდომები აღარ განმეორდნენ.

მკითხველი

# მოწერილი ამბები

**ს. მუხრანი.** ივნისის 16 ს სახელმწიფო მამულს (ყოფილი მუხრანი), ეწვივნენ. საქართველოს სახელმწ. უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კურსის სტუდ. აგრონომიულ განყოფილებისა—რიცხვით 55 კაცი, რომლებსაც თანახლდნენ თავიანთ ლექტორები. მათ განზრახული აქვთ დაჰყონ ადგილობრივ ორი თვე. მიზანი მათი—მინდვრებ-ვენახ ბაღებში პრაქტიკული მუშაობა. მათ თან მოჰყვა ლექტორი დ. გედევანიშვილი, რომელმაც გაეცნო ადგილობრივი პირობები და მისცა გეგმა მომავალი მუშაობისა ივნისის 18-ს სტუდენტობას ეწვია ლექტორი ს. ჩოლოყაშვილი, რომელმაც დაჰყო მამულში ორი კვირა. ის ავარჯიშებდა მეოთხე კურსის სტუდენტობას მევენახეობაში. სხვათა შორის უნდა ითქვას რომ ბ. ს. ჩოლოყაშვილი ჩვენში ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ ითვლება მევენახეობაში. მას აქვს დაწერილი წიგნი „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“. ორი კვირის განმავლობაში ის დაუღალავად მუშაობდა ვენახში, კითხულობდა ლექციებს და მართავდა საუბრებს. მან თავის მისსია, მშვენივრად შეასრულა და მთელი სტუდენტობა, მყოფი ს. მუხრანში, დიდი მადლობით და სიამოვნებით იგონებს ბ. ს. ჩოლოყაშვილის მუშაობას. ვ.

რედაქტორი თედო ღლონტი
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

კბილის ექიმი
**აპოლონ ურუშაძე**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
პეტხუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606
ქსესობრივი უძლურება, ვენერიული
სნეულებათა და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის
მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების
მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

შინაგანი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით ცხენის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვეძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—5 ს. ბელინსკის ქ. [illegible], სახლ 2. 38